პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 სამშაბათი 7 იანვარი № 5 (16131) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ფართოდ გაგანვითარონ სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის. შეჯიბრების დევიზი იყოს და არის: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

კომუნისტთა მაღალი მოვალეობა

ხაბჭოების ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე. ეს წარმატებანი, ნათქვამია ამ დღეებში გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, — კომუნისტური პარტიის პოლიტიკის, სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა თანმიმდევრული განხორციელების შედეგია, მბრძო მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობისა და საბალხო ინტელიგენციის შთაგონებული შრომის ნაყოფია. 1975 წლისათვის წამოყენებულია ახალი დიდი ამოცანები — ისინი მკაფიოდ განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

კომუნისტების უპირველესი საზრუნავია გააგებინონ თვითეულ საბჭოთა ადამიანს პლენუმის გადაწყვეტილებების, ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ღრმა აზრი, დარაზმონ ყველა მშრომელი ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად. ამ მუშაობის გაშლასთან ერთად პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მკაფიო, დამჯერებელი პროპაგანდა გაუწიონ ჩვენს მიღწევებსა და დადებითს გამოცდილებას, საფუძვლიანად გააანალიზონ ახალი პრობლემები, გამოიჩინონ დიდი გერგილიანობა, ოპერატიულად გამოასწორონ ნაკლოვანებანი და ხარვეზები. მათ მთელი დამჯერებლობით უნდა აჩვენონ, რომ, თუმცა ხუთწლედის, მისი დამამთავრებელი წლის ამოცანები ძნელი და დაძაბულია, თვითეულ კოლქტივს აქვს შესაძლებლობა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ისინი. უფრო აქტიურად უნდა გამოვძებნოთ ამის გზები, სრულყოთ საწარმოო საქმიანობა ყველა უბანზე, უფრო ფართოდ განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება.

შეჯიბრების დამრაზმველი ძალა მკაფიოდ გამოვლინდა შარშან: იშვა ბევრი საყურადღებო წამოწყება, მასობრივი ხასიათი მიეცა მოძრაობას შემხვედრი გეგმების შემუშავებისა და შესრულებისათვის. ხუთწლედის დამამთავრებელი წელი მოითხოვს შრომითი მეტოქეობის ახალ გაჭანებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს აქტიურად ჩაებან შეჯიბრებაში და ამავე დროს შეგვახსენებს, რომ მისი დევიზი იყო და არის — გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. ხარისხისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლამ უნდა მოიცვას ჩვენი მუშაობის ყველა მხარე. საბრძოლო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები მუდამ კომუნისტები და კომკავშირელები იყვნენ და არიან. მათი მოვალეობაა, ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, სათავეში ჩაუდგნენ შეჯიბრებას. იყონ მისი შთამაგონებელი და მაორგანიზებელი ძალა, ღირსეულად ასრულებდნენ შრომითი კოლექტივების ავანგარდის როლს.

ამ დღეებში პარტიის მოწოდების პასუხად საბჭოთა ადამიანები ავლენენ წარმოების ზრდის ახალ რეზერვებს, განსაზღვრავენ დამკვრელური მუშაობის მიმართულებებს ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე. დღეს „პრავდა“ აქვეყნებს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ლენინგრადის საწარმოო გაერთიანება „კიროვის ქარხნისა“ და მოსკოვის ოლქის დმიტროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა სოციალისტურ ვალდებულებებს. მიმდინარე წლის მოკნებს განსაზღვრავენ სხვა კოლექტივებიც. ახლა მთავარია მაღალი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ მოვიდოთ ხელი დასახული განხორციელებას. აქ ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული კომუნისტებზე, პარტიულ ორგანიზაციებზე. პარტიელთა მოქმედების ხაზი ის უნდა იყოს, რომ გასაგებად განუმარტონ შრომელებს დასახული ამოცანები, დაეხმარონ თვითეულ მათგანს იპოვნოს თავისი ადგილი საერთო მწყობრში, უჩვენონ მათ თავდადებული შრომის პირადი მაგალითი. იყო ავანგარდში — ეს იმას ნიშნავს, რომ უანგაროდ ახმარდე ძალებს, გამოცდილებასა და ცოდნას პარტიისა და ხალხის საქმეს, ჩვენი დიდი გეგმების შესრულებას. პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ყოველი კომუნისტი გვიჩვენებდეს მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობის, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშს, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაზე წინ იყოს შრომის დისციპლინითა და ენერგიით“.

ПРАВДА

6 იანვრის მოწინავე

სოციალისტურ შეჯიბრებას დასაბუთებულად უწოდებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მძლავრ ამჩქარებელს. იგი ავთარებს მილიონთა შრომითს ინიციატივას და ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკვანძო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას. ამასთანავე შეჯიბრება არის აგრეთვე მოწინავე გამოცდილების სკოლა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის სკოლა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ შეჯიბრების ყველა ბერკეტი, წარმართონ მისი მონაწილეებანი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფესად დანერგვისათვის, საწარმოთა გეგმაზომიერი რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, მაქსიმალური მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

ყოველ კოლექტივში არის რეზერვები, რომლებიც უნდა ჩავაყენოთ ხუთწლედის სამსახურში და ავამოქმედოთ. მაგალითად, ბევრ საწარმოში რაციონალურად არ იყენებენ მოწყობილობას, უგულველყოფენ სასარგებლო სიახლეებს, ურიგდებიან მოცდენებსა და უნაყოფო ხარჯებს. ყველგან როდია კარგად პროდუქციის ხარისხის საქმე. კომუნისტები განა უნდა ურიგდებოდნენ ამას? მათი პირდაპირი მოვალეობაა მიაღწიონ ფონდუკუგების გადიდებას, თვითეული ჩარხისა და მანქანის სრულ დატვირთვას, მეცნიერებასთან წარმოების კავშირის განმტკიცებას. შეუწყნარებელი ვითარება უნდა შეიქმნათ იმათ, ვინც იჩენს უყაირათობას, არ უფრთხილდება სოციალისტურ საკუთრებას.

ისევე, როგორც ყოველი ცოცხალი საქმისათვის, შეჯიბრებისთვისაც „უცბოა ფორმალიზმი, ინერცია, შაბლონი. კომუნისტებმა უნდა აამაღლონ შეჯიბრების ქმედითობა და ოპერატიულობა, განუხრელად განახორციელონ მისი ორგანიზაციის ლენინური პრინციპები — შედეგების შესადარობა, საჯაროობა, დადებითი გამოცდილების განმეორების შესაძლებლობა. ეს მჭიდროდ უკავშირდება ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის შემდგომ სრულყოფას. როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, მტკიცედ უნდა დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი სამეურნეო და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, ავამაღლოთ პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გავაჭრით გავილაშქროთ უწყებრიობის, კუთხურობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, უფრო გაბედულად აღმოვფხვრათ ყველაფერი, რაც ხელს უშლის წარმატებას.

უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეჯიბრების ხელმძღვანელების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ისინი უფრო ღრმად სწვდებიან სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავების პრაქტიკას, მათს ეკონომიურ დასაბუთებას. მეტი ყურადღება ეთმობა მორალური და მატერიალური სტიმულების სწორ შეხამებას, უფრო კონკრეტული და შედეგიანი გახდა ჩამორჩენილებისადმი დახმარება. უნდა დავეყრდნოთ ამ საყურადღებო გამოცდილებას, შემოქმედებითად გამოვიყენოთ იგი და ამ საუძველზე გამოვძებნოთ მუშაობის ახალი ფორმები მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განვითარების ინტერესებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას და უზრუნველყოფენ 1975 წლის ამოცანათა განუხრელ შესრულებას, მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას.

საქართველოს ფერადი მეტალურგიის ფლაგმანი

მს არის საქართველოს პირველი მშენებლობა, რომელიც მწყობრში ჩადგა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად

მწყობრში ჩადგა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგი. დამთავრდა რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ფლაგმანის — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობის დადმნიშვნელოვანი ეტაპი.

5 იანვარს ეს საწარმო საზეიმოდ გაიხსნა.

...საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ** შეკრებილთა ტაშის გრიალში გადაჭრა კომბინატის მიმღებ ბუნკერთან გაჭიმული ალისფერი ღეტი. ზედიზედ მოდიან აქ სპილენძის მადნით დატვირთული მრავალტონიანი „ბელაზები“ და ძვირფასი ნედლეული იყრება ბუნკერში, მას იღებს ტექნოლოგიური მოწყობილობა, შემდეგ იგი მდიდრდება და გადადის კორპუსიდან კორპუსში. მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი მწყობრში ჩადგა!

შემდეგ საწარმოს მთავარი კორპუსის წინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლები, ბოლნისისა და მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, თბილისელი სტუმრები.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **შ. დ. კიკნაძე, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბახუა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **ბ. ზ. ბარსუკოვი, ი. ი. ქედიშვილი, ნ. გ. ჩერქეზიშვილი**, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, საამქროთა და სამრეწველო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მოწინავე მშენებლები. აქვე არიან მადნეულის საბადოს პირველადმომჩენები **ი. ა. ნაზაროვი, ვ. ა. ალეინიკოვი, ბ. ვ. დავითაშვილი.**

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. მ. გიორგაძემ.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მიტინგს განსაკუთრებული ზეიმურობა მიანიჭა სასახარულო ცნობამ, რომ მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, ექსპლოატაციის მუშაკებმა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის ყველა მონაწილემ მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი. წერილის ტექსტი მიტინგზე წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

შესანიშნავი სიჩქარე მოუმზადეს სამშობლოს საქართველოს მშრომელებმა ახალი, 1975 წლის — ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ დღეებში, — თქვა ამხ. შევარდნაძემ.

ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ღონისძიებებში აღნიშნულია:

„დავამთავროთ მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა“.

და აი დღეს ჩვენ გავხდით იმის მოწმენი და მონაწილენი, თუ როგორ გადაიქცა ყრილობის დირექტივა რეალურ სინამდვილად: მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრებულია! ეს დიდი შრომითი გამარჯვებაა, ამხანაგებო!

ეს არის საქართველოს პირველი მშენებლობა, რომელიც მწყობრში ჩადგა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ ყველას, პატივცემულო ამხანაგებო, ეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება, ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ ჟეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მშენებლობაში, რომლითაც ხორცი შეესხა ჩვენი ხალხის დიდი ხნის ოცნებას.

ოდითგანვე ცნობილი იყო, რომ ჩვენი კუთხის წიაღი სავსეა ულაჟვარდისფერ ბუნებრივი სიმდიდრეებით. ჯერ კიდევ ბომ ცნობილმა ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა გამოთქვა აზრი, რომ აქ არის სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგი. თვით სახელწოდება — მადნეულიც თითქოს ადასტურებს ამ ვარაუდს.

ბევრადა ათობით და ასობით წელი. და აი ოცნება სინამდვილედ იქცა. ძიებამ ცხადყო, რომ ჩვენი მიწის წიაღი, კერძოდ, მადნეულის საბადო, მდიდარია სპილენძით, თუთიათა და სხვა ძვირფასი ლითონებით. მადნეულის სპილენძის პირველადმომჩენები დღეს აქ, ტრიბუნაზე არიან. ეს არის გეოლოგიური პარტიის ყოფილი უფროსი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ი. ნაზაროვი, ამჟამად მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის გეოლოგიურ-მეთოდიკური ექსპედიციის უფროსი. მისი მეუღლე, ივ ხანად გეოლოგიური პარტიის მთავარი გეოლოგი ვ. ა. ალეინიკოვი და ტექნიკური ხელმძღვანელი ბ. ვ. დავითაშვილი. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით გულითადად მივესალმო მათ და მივულოცო დღეგანდელი დღესასწაული.

ასე აღმოჩნდა საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალლითონიანი მადნების საბადო. და აი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მწყობრში ჩადგა საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშო—მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი.

ამიტომ მადლობის პირველი სიტყვა, — თქვა ამხ. შევარდნაძემ, — ეკუთვნის ჩვენს სახელოვან მშენებლებს, წარმოების ისეთ მოწინავეებსა და ნოვატორებს, როგორიც არიან მემონტაჟე სტეფანე ზუბკოვი, ხუროი ვასილ ჩუბინიძე, მექანიკოსი-ნოვატორი პეტრე კოსტენკო, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გიორგი დავრისაშვილი, მღებავი ზინაიდა ტორჩილოვა, მებათქაშე იოსებ კოკოევი, სამშენებლო ინბნების უფროსები რევაზ ალანია, ნოდარ გეველესიანი, ზაურ ცხვედიანი, რეზო რაზმაძე, „მადნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსი აბესალომ ჯოჯუა, კარიერის მთავარი ინჟინერი ილია ეუფენაშვილი და ბევრი სხვა.

მათი შეუპოვარი, თავდადებული, ჭეშმარიტად გმრული შრომით, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსა და „საქმთავარმონტაჟმშენის“ კოლექტივების შრომით აშენდა ეს მშვენიერი, სავსებით თანამედროვე სამრეწველო საწარმო, რომელიც სამეულო წარმოების უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობით არის აღჭურვილი.

შეხედეთ, ძვირფასო ამხანაგებო, რა წარმატება გამამდიდრებელი ფაბრიკის კორპუსების კასკადი. ამ კომბინატის მშენებლობის მასშტაბნი შეგვიძლია თქვენც იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ მარტო გადასახსნელი სამუშაოების დროს აქ ამოიღეს 10 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი. ეს დაახლოებით ათჯერ მეტია, ვიდრე თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობაზე. მადნეულში ჩასხმული და დამონტაჟებულია 80 ათასამდე კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დამონტაჟებულია 15,5 ათასი ტონა ლითონკონსტრუქცია.

1974 წელს კომპლექსის მშენებლობაზე საშუალოდ მუშაობდა 2000 კაცი, აქედან 650-ზე მეტი კომკავშირელი. 140 ქალაქელი და ჭაბუკი ჩამოვიდა მეცხრე ხუთწლიდის ამ დამკვრელურ მშენებლობაზე კომკავშირული საგზურებით. ამას გარდა ჯ. შრომობდენ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტთა სამშენებლო რაზმები.

ჩვენი შესანიშნავი მშენებლების გამრჯე, შრომისმოყვარე ხელით აშენდა საცხოვრებელი დაბა — ახალი, ნათელი მრავალსართულიანი სახლები, რომლებშიც უკვე სამი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს, კლუბი, სკოლები, სბაბავშვო ბაღ-ბაგები, მაღაზიები და სასადილოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, გაყვანილია საავტომობილო გზები, დადგმულია კავშირგაბმულობის ანძები, დარგულია ბევრი ხე და ბუჩქი და ა. შ.

ერთი სიტყვით, „სპილენძის მხარეში“ იზრდება თანამედროვე ქალაქი მადნეული.

კომბინატის მშენებლობისა და მისი მოწყობილობის გამართვის დროს, თქვა ამხ. შევარდნაძემ, — აღიზარდნენ ექსპლოატაციის მუშაკთა შესანიშნავი კადრები — მეექსკავატორეები მიხეილ ალანაძე და ბორის ნაუმენკო, საბურღი ჩარხის მემანქანე ვლადიმერ ბადალიანი, მებულდოზერე ვაქილ ფაშაევი, აგრეთვე ბევრი სხვა — ყველა ისინი, ვინც დღეს შეადგენს სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მომავალი კოლექტივის ბირთვს, ვინც იმუშავებს კარიერსა და გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

დღეს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფილიპე ფარნაოხის-ძე ნაჭყუტია, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა აქ და სამწუხაროდ ჩვენ შორის აღარ არის.

მადლობის სიტყვებით მიგმართავთ ჩვენი ქვეყნის იმ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, სადაც სწავლებას გადიოდნენ ჩვენი ექსპლოატაციის მუშაკები, — სტავროპოლის, ორენბურგის მხარეების, ბაშკირეთის კომბინატების მუშებს, რომლებიც ხალისით უზიარებდნენ ჩვენს ახალგაზრდობას თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, ასწავლიდნენ ოსტატობას, რაც საბჭოთა ხალხების ძეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებად მიგვაჩნია.

ჯეროვნად უნდა დავაფასოთ დამპროექტებლები, ტრანსპორტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკები. ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკი, უწინარეს ყოვლისა პარტიის ბოლნისის რაკომის, აგრეთვე პარტიის დმანისის, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაკომების მუშაკები, ყველა, ვინც მადნეულის მშენებლობას მოახმარა ენერგია, ჩააქსოვა თავისი გულის ნაწილი.

ჯეროვნად უნდა დავაფასოთ ქართველი მეცნიერები, რომლებმაც სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით შეიმუშავეს სპილენძის კონცენტრატის ლითონად გადაქცევის ორიგინალური ტექნოლოგიური სქემა, შეიქმნა სპეციალური ავტოკლავები, რომლებშიც მოხდება სპილენძის კონცენტრატის გამოტუტვა. ამრიგად, ჰიდრომეტალურგიული წარმოება „საქართველოში ქვეყნის ფერად მეტალურგიაში ამ მეთოდის ათვისების ბაბა ხდება.

როგორც უკვე ითქვა, მადნეული საყოველთაო-სახალხო მშენებლობაა. მის მშენებლობაში მარტო საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები როდი მონაწილეობდნენ. ქვეყნის ყველა კუთხიდან — მოსკოვიდან, სტავროპოლიდან, ნიკოლაევიდან, სვერდლოვსკიდან, ბენზიდან, „კრასნოიარსკიდან, ნოვოსიბირსკიდან მოდიოდა მადნეულში ტვირთები.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სახელით მადლობა გადაეუხადო პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტს, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტს, სტავროპოლისა და კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტებს, ნიკოლაევის, სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკისა და სხვა საოლქო კომიტეტებს, ბენზის საქალაქო კომიტეტს, რომლებმაც მადნეულისათვის შეეკეთების შესრულება თავიანთ შეუნელებელ კონტროლს დაუქვემდებარეს და უზრუნველყვეს ამ უმნიშვნელოვანესი მშენებლობისათვის მოწყობილობის დროული მიწოდება.



მშრომელთა საზეიმო მიტინგი საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშოს — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გახსნის გამო.

ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

(დასასრული ძე-2 გვ.).

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

ფოთის სავაჭრო საზღვაო ნავსადგური. ცაში ატყორცნილან მძლავრი პორტალური ამწეები. საათის მექანიზმივით რიტმულად მოძრაობს ერთ-ერთი ამწე, რომელსაც მარჯვე ხელით მართავს ლენინის ორდენოსანი გივი გუგუშვილი. სახალამოვნოა მისი მუშაობისათვის თვალის დევნება. „უნივერსალი-მეამწე“ — ასე უწოდებენ გ. გუგუშვილს ნავსადგურში. საყვარელ საქმეს მან ოცი წელი მოახმარა. ახლა გ. გუგუშვილი 1977 წლის ანგარიშში შრომობს. უფროსი მეამწის დევიზია: არ დავჯერდეთ მიღწეულს, დავიპყროთ ახალი მიჯნები.

ДОСТОЙНО ВСТРЕТИМ ЮБИЛЕЙНЫЙ ГОД ПОБЕДЫ

УНИВЕРСАЛИ МЕАМՂՎ

გ. გუგუშვილი 1977 წლის ანგარიშში მუშაობს

სამუშაო დღის შემდეგ მას მოკლე ინტერვიუ ჩამოართვა საქინფორმის კორესპონდენტმა.

— პატივცემულო გივი, თქვენს ცხოვრებაში რომელია ყველაზე სამახსოვრო დღე?

— 1974 წლის 20 აგვისტო, როცა მივიღე ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოსალოცი დეპეშა. დეპეშაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პირადი ხუთწლედის ვადამდე შესრულება. მისმა კეთილმა, მამობრივმა სურვილებმა — წარმატებები მომეპოვებინა ახალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში — გულის სიღრმემდე ამაღელვა. ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის დეპეშა, ეს არის არა მარტო ჩემი შრომის, არამედ ნავსადგურის მთელი კოლექტივის შრომის შეფასება, ეს არის სტიმული იმისათვის, რომ ფოთის ნავსადგურის მუშაებმა უკეთ იმუშაონ.

ამ სურვილის პასუხად აკაკი დუმბაძის გამსხვილებულმა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელშიც მე ვმუშაობ, ერთ-ნახევარკვირა გადაჭარბა გასული წლის გეგმას.

— როგორ დაიწყეთ ხუთწლედის მიმდინარე, დამამთავრებელი წელი?

— პირველ დღეებიდანვე ბრიგადის ყველა წევრი დამკვრელურად შრომობს. უკვე ჩვენს ანგარიშზეა ასობით ტონა გეგმის გადაჭარბებით გადამუშავებული ტვირთი.

მიმდინარე წელი მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელია, თვითეული ჩვენგანის ღირსების საქმეა მიაღწიოს ხუთწლედის დადგენილებათა უთუო შესრულებას. დღეს უნდა ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, ვიდრე გუშინ, შემოქმედებითად მოვეკიდოთ საქმეს, უნარიანად გამოვიყენოთ ტექნიკა ამას მოითხოვს დღეგანდელი დღე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი გახდა ჩვენი მოქმედების პროგრამა. ამ მიმართვაში ნათქვამია რომ 1975 წელი — ეს არის წელი, როდესაც უნდა დავამთავროთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მეცხრე ხუთწლედის ამოცანების შესრულება. ამით მტკიცე სათუძველს ჩაეუყრით მომავალ, მეათე ხუთწლედში წარმატებით მუშაობას.

მე და ჩემი ამხანაგები ძალღონეს არ დავიზურებთ, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ.

— თქვენს აზრით, რა თვისებები ახასიათებს საბჭოთა ადამიანს!

— ადამიანის წარმატებათა საწინდარია გამოცდილება და ოსტატობა გამრავლებული სიბეჯითეზე, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაზე, მიზანსწრაფულობაზე, მისწრაფებაზე ყოველთვის იყო მოწინავე.

— მე ვიკისრე ვალდებულება ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით გადავამუშაო სულ ცოტა 300 ათასი ტონა ტვირთი, ამას მივაღწევ ცალკეული პროცესების შეთვისებას, ტექნიკის კარგად მოვლის, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მაგალითად, თუ დატვირთვისა ან გადმოტვირთვის ერთ ციკლს სჭირდება სამი წუთი, მე ამას 40-50 წამს მოვანდომებ.

მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში მეხმარება სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც დაგდე ედგანოვის ნავსადგურის მეამწე ა. პეტროვთან.

დასასრულ ისიც დაგვრჩენია ღვასძინოთ, რომ მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის გ. გუგუშვილი დაჯილდოებულია სრულიად საკავშირო სამკერდე ნიშნით „სახლეთა ფლოტის საპატიო მუშაკი“. (საქინფორმი).

საქართველოს ფერადი მეტალურგიის ფლაგმანი

(დასასრული)

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალე და გულითადი მადლობა გადავუხადო საკავშირო ორგანოებს, უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს (ამხ. ბ. თ. ლომაკო), სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს (ამხ. გ. ა. კარაკაეური), სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს (ამხ. ფ. ბ. იაკუბოვსკი), სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს (ამხ. ა. კ. ანტონოვი), სსრ კავშირის ნავთობქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტროს (ამხ. კ. ი. ბრეხოვი), სსრ კავშირის სახმომარაგებას (ამხ. ბ. ე. დიმშიცი), რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ და ყურადღებას არ აკლებდნენ საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირველ მშენებლობას, მის ამუშავებას.

ამხანაგებო!

დღეს მწყობრში დგება კომბინატის მხოლოდ პირველი რიგი, რომელიც მოიპოვებს და გადამუშავებს ასეულათასობით ტონა სპილენძის მადანს წელიწადში.

იმისათვის, რომ მთლიანად შეეასრულოთ ხუთწლედის დავალება, საჭიროა გადაწყვიტოთ კიდევ ბევრი სერიოზული და პასუხსაგები ამოცანა. დიდად გეახარებს, რომ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ექსპლოატაციის მუშაკებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი: იგი სრული სიმძლავრით ამამუშავონ 1975 წლის 7 ნოემბრისათვის. ამ სიტყვის შესრულება მადნეულის მშენებელთა, მომონტაჟეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა ღირსების საქმეა.

ამხანაგო მადნეულელებო!

დღეს მწყობრში ჩადგა ახალი საწარმო. ამ საზეიმო და ყველა ჩვენგანისათვის ღირსშესანიშნავ დღეს მინდა მოგიწოდოთ: გაუფრთხილდით, დაიცვეთ ეს შესანიშნავი სამრეწველო ობიექტი, სათუთად მოეპყრით მოწყობილობას, მიაღწიეთ იმას, რომ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი გახდეს ჭეშმარიტად მაღალი კულტურის საწარმო, ხოლო რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი — კომუნისტური შრომისა და ყოფიერების ბანაკად, ნამდვილად კომუნისტური ურთიერთდამოკიდებულების ქალაქი.

(ოტა ხნის წინათ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიკლემბრის პლენუმი, რომლის გადაწყვეტილებებში ღრმად გაანალიზებულია განვლილ პერიოდში ხუთწლედის დავალებათა შესრულების შედეგები და სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად განსაზღვრულია 1975 წლის, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მიზნები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, და ეს მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულ პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიკლემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი აღიქვამენ როგორც მოქმედების სახელმძღვანელოს, როგორც მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობის, მთელი ჩვენი შემდგომი ბრძოლის პროგრამას.

ამ გადაწყვეტილებებით, ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტით თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელონ მადნეულის მშრომელებმაც, რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის შემდგომი აღმავლობის ამოცანას დაიკავებენ. ორნ მთელი თავიანთი ნება და მისწრაფებები.

ამხანაგებო!

ახალი 1975 წლის დადგომას ღაემთხვა ახალი ქალაქის შექმნა. ჩვენი რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა ახალი წერტილი, ახალი სამრეწველო ცენტრი: მადნეული. ეს მეტად ღირსშესანიშნავია, ის მეტად სიმბოლურია!

დიდ მადნეულელებო ყოველი ახალი წლის შეხვედრის დროს იხსენებდნენ დღეანდელ დღეს, ინდუსტრიული მადნეულის პირველ დღეს.

ახლა კი, თქვა დასასრულ ამბ. შევარდნაძემ, ნება მიბოძეთ ყველას მოგილოცოთ ახალი წელი, გისურვოთ თქვენ და თქვენს ოჯახებს ახალი სახელოვანი წარმატებანი შრომაში, ახალი გამარჯვებანი ცხოვრებაში, ჯანმრთელობა, სიხარული და დიდი ბედნიერება ახალ ბინებში, მადნეულის ჭერქვეშ, ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცის ქვეშ!

მიტინგზე გამოვიდნენ „საქმიკანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალი ხ. ი. **სოპელნიაკი**, „მადნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. ე. **ჯოჯუა**, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი **ი. კ. გოგიტიძე**, სოფელ ფაპრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ კოლმეურნე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ტ. მ. თანრივერდიევა**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი **გ. ვ. ციცეშვილი**, საქართველოს მწეარლთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გ. გ. აბაშიძე**, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მეთაური **რ. ვ. ჯაფარიძე**.

მიტინგის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი, რომელშიც აღთქვამენ ჩვენი პარტიის მშობლიურ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, არ დაზოგავენ ძალონესა და ენერგიას მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საპროექტო სიმძლავრის ვადამდე ამოქმედების უზრუნველყოფისათვის, გაახარებენ სამშობლოს ახალი წარმატებებით, ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და ძლიერების განმტკიცებაში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, გაეცნენ მის მუშაობას. (საქინფორმი).

ჩვენი სახელოვანი მშენებლები

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. სურათზე: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის მადნეულმშენის სამმართველოს კომპლექსური ბრიგადა, რომელმაც თავი ისახელა კომბინატის პირველი რიგის მშენებლობაზე. (მარცხნიდან): ვ. მიშელაძე, ნ. ნამაზოვი, ს. ახლანიანცი, მ. კოკოევი, ბრიგადირი რ. ასპანიძე და ვ. ჩუბინიძე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზრდეს ათი შვილი:

1. **ანტონოვას** სუსანა მიხეილის ასულს — ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობის მუშას, წალკის რაიონი.
2. **ვალიევას** ეთარ აბდულა ყზის — დიასახლისს, დმანისის რაიონის სოფელ კამარლო.
3. **გულიკიანს** პარიკე ალმენაკის ასულს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელ ყიზილქილისი.
4. **ნაზოს** ალი ყზის — კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, კასპის რაიონი.
5. **წიწილაშვილს** ლიდა თეოდორეს ასულს — დიასახლისს, თერჯოლის რაიონის სოფელი თუზი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1974 წლის 30 დეკემბერი.

მიფრინავს სადგური „სალუტ-4“

ფრენის მართვის ცენტრი. 6 იანვარი. (საკდესი). ფრენას განაგრძობს სამეცნიერო ორბიტული სადგური „სალუტ-4“, რომელიც 1974 წლის 26 დეკემბერს გაიყვანეს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე 6 იანვარს 14 საათისათვის მოსკოვის დროით სადგურმა 180-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

ფრენის განვლილ პერიოდში განხორციელდა ორბიტის კორექციები, რომელთა შედეგად მისი პარამეტრებია:

— მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 355 კილომეტრი;
— მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 343 კილომეტრი;
— მიმოქცევის პერიოდი — 91,3 წუთი;
— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ხუთწლედს ღარმაფეგით ფევასრულებლად!

ფლიური გეგმა — 27 დეკემბრისათვის

ქუთაისი. 6 იანვარი. (საქინფორმის კორ.). პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ნაკისრ ახალ ვალდებულებებზე, კონკრეტულ საქმეებზე ილაპარაკეს საერთო-საქართხო მიტინგზე ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა.

ტრიბუნაზეა საინსტრუმენტო-სატვიფრი საამქროს ზეინკალი ლენინის და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი ი. ჯღამაძე.

— ვალდებულებას ვკისრულობ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირადი გეგმა შევასრულო 1 სექტემბრისათვის, — განაცხადა მან.

მეორე სამსხმელო საამქროს პარტიული ბიუროს მდივანმა ჯ. ცხვედიანმა, მიმართა რა შეკრებილთ, გამოთქვა რწმენა, რომ მსხმელთა კოლექტივი განახორციელებს ლონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ საამქროს მიერ ხუთწლიანი გეგმის შესრულებას 7 ნოემბრისათვის.

მიტინგზე გამოვიდნენ ავრეთვე ავტომატის საამქროს ხარატი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დ. გაფრინდაშვილი, მასის საამქროს მოარავი მ. სვანიშვილი, ძრავის საამქროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე კ. კიკაბიძე. მათ ილაპარაკეს შრომითს აღმავლობაზე ავტომობილმშენებელთა კოლექტივში, რომლებიც იბრძვიან 27 დეკემბრისათვის მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის შესასრულებლად.

მხოლოდ ჩინებული ხარისხისა

თბილისის რძის კომბინატის კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. საწარმოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

— მშობლიური კომუნისტური პარტიის ჩვენდამი მიმართვის პასუხად, — თქვა კომბინატის სააპარატო ჩამოსასხმელი საამქროს ოპერატორმა ნ. ზაქარიაშვილმა, — ვალდებულებას ვკისრულობთ გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებანი.

მიტინგზე გამოვიდნენ ავრეთვე ხაჭოს სამაქროს მუშა პ. წითელაძე და საწარმოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ეკონომისტი ც. დოლიძე.

კომბინატის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ნ. ზაქარიაშვილის მოწოდებას, რომ საწარმოში ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. (საქინფორმი).

საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი დიდი აღმავლობითა და აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ამ ამაღელვებელ დოკუმენტში შეჯამებულია 1974 წელს მიღწეულ დიდ წარმატებათა შედეგები.

ჩვენ კანონიერ სიამაყეს განვიცდით იმისათვის, რომ ამ წარმატებებში ჩვენი წვლილიც არის.

1975 წელს საბჭოთა ხალხმა უნდა შეასრულოს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანები. მომდინარე წლის ამოცანები ზუსტად განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელმა სესიამ, რომელშიც ვმონაწილეობდი როგორც დეპუტატი, როგორც ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი.

ჩვენ, ქვეყნის მუშათა კლასს — საბჭოთა საზოგადოების წამყვან ძალას, მოგვიწოდებს მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აქტიურად ვიბრძოლოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ მოწოდებას ვუპასუხებთ პროდუქციის მოცულობისა და ნომენკლატურის გეგმის ვადამდე შესრულებით, სამუშაო დროისა და მოწყობილობის უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

ვ. ასათიანი,

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის აწყობი ზეინკალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი. (საქინფორმი).

...დღენიადაგ აუჯობესებდნენ მუშაობას მასებში, სრულყოფდნენ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდებს, ამადლებდნენ ყველა მუშაკის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის... ეს სიტყვები ჩაწერილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მისამართით.

მართლაც წარმატებათა ბედი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ აქტიურად ჩავაბამთ მასებს პარტიის მიერ დასახული მიზნების შესრულებისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში, როგორ მოვაწყობთ სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორ ავამაღლებთ მინდობილი საქმისადმი თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს არ დავკმაყოფილდეთ მიღწეული წარმატებებით, ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელ წელს მოვიპოვოთ უფრო მეტი წარმატებები. ამ ამოცანის განსორციელებაში დიდაა შეგვიწყობს ხელს წლევანდელი შეწმედრი გეგმა, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ შარშან მივიღეთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებული ქართველი მეტალურგები ყველა ღონეს ვისმართ, რათა დავიჩაროთ ტექნიკური პროგრესი, გაბედულად დავნერგოთ ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია და ამით უზრუნველყოთ დამამთავრებელი წლის საწარმოო გეგმების შესრულება.

მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაცია და მისი თვითეული კომუნისტი ნამდვილად ჩაუდგება სათავეში შეჯიბრებას, გახდება მისი სულისჩამდგმელი და მაორგანიზებელი ძალა, უჩვენებს მაღალი შეგნებისა და შემოქმედებითი აქტივობის მაგალითს.

კ. ბაქრაძე,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

გუნკერში — მადნის პირველი ტონები

„კომუნისტის“ სპეკორესპონდენტის ხ. კილაძის ფოტო.

პარტიული ქრონიკები

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელშაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. **ა. დ. თხილაიშვილი** გაათავისუფლა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **ვ. რ. პაპუნიძე** და გაათავისუფლა იგი პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **ნ. ა. ჭითანავა.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხ. ა. პატარიძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **შ. ვ. უარყარაშვილი.**

სწავლობენ მდივნები

ყვარელი. გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. მოხსენებით — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი გ. ძულიაშვილი.

სკკპ რიგებში მიღების, პარტიაში მისაღებთა დოკუმენტების გაფორმებისა და კომუნისტთა პერსონალური საკითხების განხილვის შესახებ ილაპარაკა რაიკომის ინსტრუქტორმა ზ. ჯიქურიშვილმა, ხოლო პარტიული დოკუმენტების წარმოებაზე — საერთო განყოფილების გამგემ ა. ლოლიაშვილმა.

„პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები“ ამ თემებზე ესაუბრნენ სემინარის მონაწილეებს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ვამგე ო. სამხარაული და ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. იმერლიშვილი.

პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის თავიანთი გამოცდილება.

ა. გიგილოფვილი.



კონსტანტინე ლორთქიფანიძის საიუბილეოდ

ჭამოჩენილ ქართველ მწერალს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მიმდინარე წელს უსრულდება დაბადების 70 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით გ. აბაშიძე (თავმჯდომარე), ი. აბაშიძე, თ. ბუაჩიძე, კ. გამსახურდია, გ. გვერდწითელი, ს. დოლიძე, ნ. დუმბაძე, ო. თაქთაქიშვილი, კ. კალაძე, გ. მერკვილაძე, დ. მჭედლიშვილი, გ. ნატროშვილი, გ. ორჯონიკიძე, ბ. ულენტი, გ. ფანჯიკიძე (მდივანი), ო. ქინქლაძე, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ჭელიძე, ნ. ჯანბერიძე.

გავოცდილებას უზიარებენ...

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის გურჯაანის რაიკომის განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული კომიტეტების მდივნები რაიკომის მდივნის მ. სამადაშვილის ხელმძღვანელობით იყვნენ წალენჯიხაში და გაეცნენ რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, კერძოდ თუ პრაქტიკულად რა ღონისძიებებს ატარებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნაჭყებიამ სტუმრებს მოუთხრო რაიონის მშრომელთა ბრძოლაზე მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსმაზღვრელი წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის, აგრეთვე შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაციის, ადამიანთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების, სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის რაიკომის მიერ მიღებულ ღონისძიებებზე.

გურჯაანელი პარტიული აქტივისტები გაეცნენ რაიკომის ცალკეულ განყოფილებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტრუქტურას, ამასთან მათ თავის მხრივაც მასპინძლებს გაუზიარეს საკუთარი მუშაობის გამოცდილება.

ლეიციების ციკლი

ცხინვალი. (საკ. კორ.). „სუბტროპიკული კულტურების განვითარება დასავლეთ საქართველოში“, „აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირების საკითხები კოლხეთის დაბლობზე“. ასეთი იყო თემები ლექციების ციკლისა, რომელიც მოეწყო ხორშის და ზანის კოლმეურნეობებში, ტეფრის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში.

ლექციები წაიკითხეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრის დოცენტებმა ბ. სარჯველაძემ და ლ. ქოიავამ.

ალფრდა

სკოლა და ცხოვრება

უპირველესი საზრუნავია

საბჭოთა სკოლა მარტო განათლებულ ადამიანებს როდი ამზადებს. მას აკისრია პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მისი კედლებიდან გამოდიოდნენ პოლიტიკურად წიგნიერი, იდეურად მტკიცე შებრძოლნი კომუნიზმის საქმისათვის, — აღნიშნა მასწავლებელთა საკავშირო ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები. ისინი საუკეთესო პირობებს უქმნიან მასწავლებლებს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის. საამისოდ კი საჭიროა განეწყვეტელი, გააზრებული პედაგოგიური ზემოქმედება, რომლის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოების ღირსეული წევრის ფორმირება.

მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდას დაუყვითის კლასებში ეყრება საფუძველი.

ამ მიმართებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ხელვაჩაურის რაიონის განსახლების დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი მემედ ბერიძე. მას ნათლად ესმის, რომ მომავლის ღირსეული მოქალაქის აღზრდის პრობლემები არასოდეს ისე აქტუალური არ ყოფილა, როგორც ამჟამად, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში, ამიტომაც ის ყველა გაკვეთილის მასალას ღრმა შინაარსით ავსებს, ერისა და სამშობლოს სიყვარულით ასულდგმულებს, გონებასა და სულის ზნეობრივი გაღიდერების წყაროდ აქცევს. კარგად იყენებს მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძვლების ფორმირების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. მართავს მხატვრულ დილაღაღამოებს, მხატვრულ კითხვას. ერთ-ერთი ასეთი კითხვა ჩატარდა თემაზე: „გმირი პიონერები“. ბავშვები გაიტაცა პიონერების — ვალია კოტიკის, ზინა პორტნოვას, ბორის ცარიკოვის, ვალოდია კაზნაჩეევის, ვასია კორობკოს, ტოლია შუმოვისა და ნათელა ჩელებაძის გმირულმა ეპიზოდებმა.

მოსწავლეთა პოლიტიკური მომზადების საქმეში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ოქტომბრელთა ჯგუფებში და პიონერულ რაზმეულებში მუშაობას. პირველ კლასში მოსული ბავშვი პირველ დღეებშივე ეცნობა ოქტომბრელთა წესებს, რაც თავის მხრივ პოლიტიკური განათლების საკითხებს მოიცავს. ეს არის, მაგალითად, თხრობა იმის შესახებ თუ ვინ არიან ოქტომბრელები, რას ნიშნავს წითელი ვარსკვლავი, ალამი, ოქტომბრელთა ნიშანი, დიდი მნიშვნელობა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდაში. კარგად იყენებს მაკარენკოს პარალელური მოქმედების მეთოდს — „აღზრდა კოლექტივში, კოლექტივის საშუალებით, კოლექტივისათვის“. ოქტომბრელებს ეხმარებიან აქტივისტი პიონერები, რომელთა ინიციატივით შეიქმნა ნორჩ მხატვართა, ტექნიკოსთა, ძერწვის, სიმღერის წრეები. კლასში დაწესებულია მოვალეობანი „მასწავლებლის თანაშემწე“, „ბიბლიოთეკარი“, „მეყვავილე“, „ვარსკვლავის სანიტარი“ და ა. შ. მოზარდები მონაცვლეობით ასრულებენ მოვალეობებს. ასე რომ ყოველი მათგანი ხელმძღვანელის როლში გამოდის, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივ - ორგანიზატორული უნარ-ჩვევების განვითარებას, სისტემატურად ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, შრომითი ნამუშევრების, ნახატების გამოფენა, აგრეთვე დათვალიერებანი „ვიხი ვარსკვლავი მუშაობს და ცხოვრობს საინტერესოდ“, „ვისმა ვარსკვლავმა იცის ყველაზე მეტი ლექსი და მოთხრობა, სიმღერა სამშობლოზე, პარტიაზე“.

მოსწავლეებში კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებისა და მათს იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში ამოუწურავი წყაროა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითები, კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ასეთი თემები წითელ ზოლად გასდევს პროგრამებს, სახელმძღვანელოებს. მასწავლებელმა სათანადო მასალების გამოყენებით უნდა შეძლოს ჩაუნერგოს ბავშვებს მისწრაფება იმისა, რომ ყოველთვის ყველაფერში მიბაძონ დიდი ლენინის მაგალითს.

იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ორგანულ-კავშირშია სკოლა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. „ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი“. მასწავლებელი აღნიშნულის გათვალისწინებით თავის მუშაობას უნდა წარმართავდეს ცხოვრებისეულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, სინამდვილიდან მოყვანილი ფაქტების საფუძველზე. ბავშვები უნდა იცნობდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მე-9 ხუთწლედის გრანდიოზული ღონისძიების განხორციელებას. კარგი იქნება ამ თემებზე საუბრებთან ერთად ექსკურსიების ჩატარება, სადაც ისინი შეხვდებიან გამოჩენილ ადამიანებს, შეეცნიერებს, ტექნიკოსს თუ ხელოვნების მუშაკებს, რაც მოსწავლეებზე აღმზრდელობითი ზეგავლენის შესანიშნავი საშუალებაა.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ იდეურ მუშაობაში, რომელსაც ეწევა პარტია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომისმოყვარეობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას. „პოლიტიკურ აღზრდაში, — მიუთითებდა მ. კალინინი, — მე ვგულისხმობ უპირველეს ყოვლისა აღზრდას თვით ცხოვრებაში, მიმდინარე პრაქტიკულ საქმიანობაში“. „შრომა ქმნის ყოველივე უძვირფასესს, ყოველივე მშვენიერს, ყოველივე დიდს, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს“ — ამბობდა მარადიული ჭყვეს შრომის საქმიანობაში. ისინი სიყვარულით უვლიან ოთახის მცენარეებს, აგროვებენ ჯართს, მაკულატურას. შრომითი სწავლების გაკვეთილებზე მოსწავლეები იძენენ შრომით ცოდნას—ჩვენ ვიბეს, სწავლობენ ქარგვას, კერვას, ამზადებენ სხვადასხვა სასის საგნებს, თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალას (სათვლელი ჩხირები, გეომეტრიული სხეულები და ა. შ.). საუკეთესო ნამუშევარი ხვდება ჯერ საკლასო, შემდეგ სასკოლო გამოფენებზე. მიზნობრივად წარმოეს სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთის გამოყენება. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა შრომა-საქმიანობას, ატარებს ექსკურსიებს, ეწყობა შეხვედრები შრომის მოწინავე ადამიანებთან.

მოზარდი თაობის პოლიტიკურ განათლებასა და მათ იდეურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სამშობლოს ბუნების შესწავლას. ბუნებისმეცნიერების საფუძვლიანი ცოდნა ძრის უთხრის ყველა იდეალისტურ კონცეფციას. მასწავლებელს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ისიც, რომ მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება შეუძლებელია ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთებთან ბრძოლის გარეშე, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითს კლასებში, როცა მოსწავლეთა ცნობიერება ჯერ კიდევ არ არის მოწყალული ცრურწმენებისაგან და მავნე აზრებისგან.

მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მძლავრი იარაღია პოლიტიკური ინფორმაცია, რომელისთვისაც მდიდარი მასალაა ჩვენი პარტიის ყრილობები, პლენუმები, ადგილობრივი და უმაღლესი საბჭოების არჩევნები, დღესასწაულები. ყოველი ასეთი თარიღი თუ მას მასწავლებელი გამოიყენებს მოღიერებულად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პოლიტიკურ და ზნეობრივ ზრდას, მათი საზოგადოებრივი ინტერესებისა და შეხედულებების განვითარებას. ჩელტას დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი ვლადიმერ ქათამაძე სისტემატურად აწყობს პოლიტიკური ინფორმაციის საათებს. მოსწავლეებს ესაუბრება ისეთ თემებზე. როგორიც არის „ჩვენი ბელადი“, „სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკები“, „ჩვენს საშობლოში“, „ჩვენს პლანეტაზე“, „ჩვენს რაიონში“, „სად რა მოხდა“, „ოქტომბრელები ოქტომბერს“, „პიონერთა ქვეყანაში“ და ა. შ. საუბრებს თან ახლავს შესაბამისი ფოტოდოკუმენტები, სურათები, ნახატები, რაც საინტერესოს და გასაგებს ხდის მათ ნათქვამებს.

სკოლის წლები — ეს ის დროა, როცა ყალიბდება გონება და ხასიათი, მუშავდება მსოფლმხედველობა, ირკვევა ცხოვრების ჰორიზონტი. ამიტომაც ამ ხანაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მი

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

სოციალიზმის ქვეყნებში

ᲕᲐᲠᲣᲨᲐᲕᲐ

დისერტაციების კონკურსი

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარმა გაშეფობამ მეცნიერების, უმაღლესი განათლებისა და ტექნიკის სამინისტროსთან, პოლონელ სტუდენტთა სოციალისტური კავშირის მთავარ გამგეობასთან და ყოველთვიურ ყურნალ „ნოვე დროგის“ რედაქციასთან ერთად გამოაცხადა მუდმივი კონკურსი ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის. მისი თემაა — სსრ კავშირისადმი მიძღვნილი. სამეგისტრო დისერტაცია. კონკურსის მიზანია დაინტერესოს სტუდენტობა საბჭოთა კავშირის ჩიღწევათა ყოველმხრივ მეცნიერული კვლევით, აგრეთვე განამტკიცოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთკონტაქტები.

ახლანდელ კონკურსზე (იგი მომავალშიც მოეწყობა) წარდგენილ იქნება 1972-73 და 1973-74 სასწავლო წლებში დაცული სამეგისტრო დისერტაციები.

დისერტაციები განიხილება ხუთ ჯგუფში, რომლებიც მოიცავენ შემდეგ დისციპლინებს: ეკონომიკას, ისტორიას. პედაგოგიკას. პოლიტიკას. აგრეთვე კულტურასა და ლიტერატურას.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდოები, მათ შორის 3-წლიანი სწავლება საბჭოთა ასპირანტურაში, ერთწლიანი სამეცნიერო მივლინება სსრ კავშირში, ტურისტული ექსკურსიები, აგრეთვე ფულადი ჯილდოები.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

საწარმოს იუბილე

ოსტრავის მილსაგლინავ ქარხანას 25 წელი შეუსრულდა. ამ დროის განმავლობაში ქარხანამ გამოუშვა ოთხი მილიონი ტონა მილები. მისი პროდუქციის 30 პროცენტს შეადგენს უნაკერო მთლიანგლინული მილები.

ქარხნის პროდუქციას კარგი სახელი აქვს არა მარტო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. იგი იგზავნება მომძე სოციალისტურ ქვეყნებსა და 20 კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ტრადიციული შემყიდველია საბჭოთა კავშირი. ბოლო ხანებში სსრ კავშირში მილების ექსპორტის მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 24 ათასი ტონა.

ᲙᲚᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

მაოისტებს არ ძალუძთ...

საზღვარგარეთის პრესას მოაყავს სულ ახლი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ მერეკე შინაპოლიტიკურ მდგომარეობას ჩინეთში. პეკინიდან მიღებულ კორესპონდენციაში ლაპარაკია ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების სხვადასხვა ნიშნებზე, უმაღლეს ხელმძღვანელ სფეროებში მეტოქეობის გაძლიერებაზე. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის მომზადებას, რომელიც უკვე 10 წელიწადია არც ერთხელ არ შეკრებილა, ამ ცნობების თანახმად, ეფობება სიძნელეები და იგი უთანხმოებას იწვევს. იუწყებიან, რომ კიდევ და კიდევ ამოწმებენ საგარაუდო დეპუტატების სიებს, სესიის თარიღი ჯერაც არ არის დადგენილი. ყველგან სერიოზული პრობლემებია არჩევნებში, სადაც გრძელდება სამხედრო ჯგუფების გადაჯვარ-გადმოჯვარა.

ახალ 1975 წელს პეკინის პროპაგანდა შეხვდა სამი ბეჭდვითი ორგანოს — გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოს“, ყურნალ „ხუნყისა“ და არმიის გაზეთ „ძიფანძიუნ-ბაოს“ ერთობლივი სტატიით. ბუნებრივია, რომ ავტორებმა არ დაიშურეს მყვირალა სიტყვები „წარმატებების“ შესახებ, რომლებსაც თითქოს მიაღწია ჩინეთმა ყველა დარგში. მაგრამ ამ მტკიცების დასადასტურებლად მათ არ შეუტანიათ არც ერთი კონკრეტული ფაქტი, არც ერთი კონკრეტული ციფრი.

ამავე დროს, უცხოელი მეთვალყურენი აღნიშნავენ ჩინეთის ეკონომიკის შემდგომ მოშლას, რაც გამოწვეულია, კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების კონკრეტული საკითხების უგულებელყოფით და იმით, რომ მასები უკმაყოფილო არიან თავიანთი ცხოვრების მდგომარეობით.

ლონდონის ყოველკვირეული „ეკონომისტი“ ამასთან დაკავშირებით წერს რენინგზელთა გაფიცვების შესახებ, რომლებმაც ქვეყნის მთელი რიგი პროვინციები მოიცვა. ჰამბურგის „დი ზეიტი“ იუწყება, რომ ქვანახშირის მრეწველობასა და მძიმე მანქანათმშენებლობას ჯაფიცვების საფრთხე ემუქრება. მუშობს. აღნიშნავს გაზეთი, როგორც ჩანს სურთ, რომ „კონფუციუსა და ლინ ბიაოს კრიტიკის მოძრაობაში“ მათი ჩაბმის ნაცვლად. შეუქმნან შრომის უკეთესი პირობები.

როგორც უცხოთის. ისე ჩინეთის პრესის მასალები მოწმობენ, რომ მაოისტებს არ ძალუძთ გადალახონ სიძნელეები, რომლებიც გამოწვეულია მათი ავანტურიზმით. როგორც სანნაო, ისე საგარეო პოლიტიკაში მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელი პრინციპების უარყოფით. სოციალიზმის საყოველთაო კანონზომიერებათა უგულებელყოფით. (საკდესი).

პროგესი დევნის წინააღმდეგ

ᲑᲝᲜᲜᲘ. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვინოგრადოვი იუწყება: ბონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მიმდინარე წლის უკვე პირველ კვარტალშივე ბუნდესტაგმა უნდა დაამტკიცოს „რადიკალური ელემენტების შესახებ სპეციალური კანონის“ პროექტის განხილვა. როგორც ყველაფრიდან ჩანს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეულ წრეები აპირებენ რაც შეიძლება მალე შეუქმნან „კანონიერი საფუძველი“ პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედოთა“, უწინარეს ყოვლისა კომუნისტებისა და დემოკრატიულ ორგანიზაციათა აქტივისტების დევნის კამპანიას.

ახალმა კანონმა უნდა შეცვალოს ახლა მოქმედი რეაქციული „დადგენილება რადიკალური ელემენტების შესახებ“, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მიიღეს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკის ინიციატივით დასავლეთ გერმანიის მხარეთა პრემიერ-მინისტრებმა. იგი კომუნისტებსა და სხვა დემოკრატებს უკრძალავს თანამდებობანი დიაკავონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებსა და განათლების სისტემაში. ხელმძღვანელობენ რა ამ დადგენილებით, ხელისუფლებმა მთელ ქვეყანაში გამალეს ბევრი პირის „პოლიტიკური ლოიალობის შემოწმების“ კამპანია. მაგალითად, როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს მარტო ერთ ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში, სადაც ხელისუფლების სათავეში დგას ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების ორგანოებმა ამ ბოლო წლის მანძილზე განიხილეს 43 ათასზე მეტი კაცის საქმე.

ამ მხარის დემოკრატიული ორგანიზაციები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ დევნიან მხოლოდ პროგრესულად განწყობილ საზოგადო მოღვაწეებს, მაშინ როცა ნეონაციასტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა და მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების წევრებს ყველანაირად უკეთესით თანამდებობანი ოფიციალურ დაწესებულებებში და იწვევენ პედაგოგიურ მუშაობას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეები ანაღგენენ ბრძოლას პოლიტიკური მრწამსისათვის დევნის წინააღმდეგ. როგორც დასავლეთგერმანელ კომუნისტთა გაზეთი „უნზერე ციაიტი“ წერს, 2 თებერვალს მაინცში გაიმართება დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც მოიწვია „პროფესიების აკრძალვის“ წინააღმდეგ ბრძოლის ჰამბურგის მუშათა კომიტეტის ინიციატივით.

Ი. ᲐᲠᲐᲤᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 6 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა მიტინგი პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის 10 წლისთავის გამო, რომელზეც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა, გააცხადა. რომ ტელ-ავივის პროვოკაციები სამხრეთ ლიბანში მიზნად ისახავენ განხეთქილება შეიტანონ ლიბანის მოსახლეობისა და ქვეყანაში მყოფი პალესტინელი ლტოლვილების ერთიან ფრონტში. მაგრამ, ხალი გაუსვა ი. არაფატმა, ეს ცდები ჩაიფუშა.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ არაბელ ქვეყნებს მოუწოდა გამოიჩინონ უდიდესი სიფხიზლე განუწყვეტელი ისრაელის აგრესიული აქციების მიმართ.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲚᲝᲑᲐ ᲘᲜᲓᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ.

ᲤᲐᲥᲢᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗ

რასისტთა მანევრი

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ, 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲖᲐᲛᲑᲘᲐᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲯᲔᲠᲘᲡᲐᲜ ᲙᲐᲚᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑᲝᲠᲔ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ Ი. ᲐᲠᲐᲤᲐᲢᲛᲐ, ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲠᲝᲛ ᲢᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲐᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲯᲔᲠᲘᲡᲐᲜ ᲙᲐᲚᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲣᲗᲛᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠ

ესმოდა იალბუზის ქალთებზე

ბანაბრძოლს რა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების გამოქვეყნებას, „პრავდა“ დღეს ხსნის რუბრიკას „სამუდამოდ ხალხის ხსოვნაში“. ამ რუბრიკის მასალები მოგვითხრობენ ნაბეჭდთა ადამიანების მიერ ფრონტზე ჩადენილ გმირობაზე, პარტიზანებსა და იატაკქვეშელებზე, იმათზე, ვინც ზურგში ჰეროდა გამარჯვების იარაღს, ადნობდა ლითონს, მოჰყავდა პური, რომ მოეახლოებინა გამარჯვების სასურველი უამი.



უნაგირას გამეოლად უბერავდა მძვინვარე ქარიშხალი, ხილვადობა თითქმის სრულებით არ იყო, ყინვა იდგილად ატანდა სქელ სვიტერებსა და ნაქსოვებში. პიატიგორსკის პედინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა ტრადიციული ასვლა შეასრულა იალბუზის მწვერვალზე და დაბლა დაშვება იწყო. ყინულის ბაზასთან ჯგუფის ხელმძღვანელმა დოცენტმა სერგეი ნიკოლოზის-ძე ბასარეკმა თქვა:

— აქ ორმოცდაორის შემოდგომაზე ბრძოლები იყო. გერმანელები მოიწევდნენ მეთერთმეტე თავშესაფრისაკენ. ვიწყებთ ძებნას.

დაახლოებით ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე კლდეები და ყინულები მკაცრ სანახაობას წარმოადგენდნენ. ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ყინულოვან ნისლებსა და თოვაში, მწვერვალების მძვინვარე ქარების ზუზუნში ამ ადგილებში იბრძოდნენ საბჭოთა ჯარისკაცები.

გაიშვიათებულ წყებად გაფანტული სტუდენტები ყურადღებით ათვალიერებენ მიდამოს და ეძებენ დაღმართზე ეშვებოდნენ.

ვიწრო ნაპრალთან ჯარისკაცის ნეშტი იყო. მის გვერდით ეყარა ავტომატის ცარიელი ჭილზები, პპშ ავტომატის დაჯანგული ნაწილები. გაწვდილი მკლავის მანძილზე იდო ხელყუმბარა ჩადგმული ფალითი. ჩანს, იაფად არ დაუთმია ჯარისკაცს თავისი სიცოცხლე. უკანასკნელ ვაზნამდე ისროდა. მოუშზადებია ხელყუმბარა. იქნებ ელოდა, როდის მოვიდოდნენ მტრები სულ ახლოს. მტრის ტყვიას დაუსწრია...

ნაპრალის სიღრმეში ყინულის გათხელებულ ქერქქვეშ რაღაც წითლად მოჩანდა. ქვაა? ჩვარია? გატეხეს ყინული და ფრთხილად ამოიღეს სველი, რბილი გუნდა. გაშალეს — საქაღალდე აღმოჩნდა.

...ჩვენ დოკუმენტებს ვსინჯავდით უკვე პიატიგორსკში, როცა ისინი გულდასმით გაშრობილი იყო, თვითეული ფურცელი ცალკე. პარტიული ბილეთი № 4336958. გაცვეთული პარტიის ტყიბულის რაიკომის მიერ, რაიონული საბჭოს დეპუტატის მოწმობა, გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლის მოწმობა — ყველაფერი ისაია პავლეს-ძე ბერეკაშვილის სახელზე.

რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციის დავალებით გავემგზავრე ტყიბულში.

ქალაქის სამხედრო კომისარიატში. არქივში ცნობების მიღების შემდეგ გვაცნობეს, რომ ბერეკაშვილი დაიბადა 1901 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში. საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს 1942 წლის მარტში, ჩაბებმეველად გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. ბერეძე გვიამბობდა:

— 392-ე მსროლელი დივიზიის 805-ე მსროლელი პოლკი ორმოცდაორი წლის გაზაფხულზე ჩამოაყალიბეს. ზაფხულის დამდეგისათვის პოლკი თავდაცვაზე დავდექით ნალჩიკის რაიონში. ერთხელ ასეულის უფროსისაგან მოვიდა ბრძანება: გამოპყავით ოცეულებიდან ხუთ-ხუთი კაცი პოლკის შტაბის განკარგულებაში. მოხალისენი. განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად. რომ მთებს კარგად იცხობდნენ და შეგნებული იყონ. დავაწყე. ოცეული, ავუხსენი მდგომარეობა. და აქ ისაია წინ წამოდგა „მე გამგზავნეო,“ — ამბობს. — „მე პარტიის წევრი ვარ. მთიელი ვარ. სხვა ვინ უნდა წავიდეს, თუ მე არა!“.

დავნიშნე ისაია ჯგუფის უფროსად. ჩვენი ოცეულიდან. წავიდნენ. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ხუთეულიდან ერთი დაბრუნდა. გაახდარი, ღონემიხდილი. „ვერ ვიარე მათთან ერთადო, თქვა. იქ კლდეები და ყინულია, სამალაულზე თავბრუ მესხმის. მეთაურმა დაბლა გამომგზავნაო...“

— სად არიან დანარჩენნი?, — ვეკითხები.

— მაღლა წავიდნენ!

ვიწრო და ციცაბო გზით მივემართებოდით ბერეკაშვილის სახლისაკენ, სადაც ახლა ცხოვრობს ისაია პავლეს-ძის შვილი გიორგი, მისი ცოლი ქეთევანი და ორი შვილი — მაგული და თეიმურაზი. ეს ხის სახლი ზედ მთის წვერზეა, სოფლის თავზე. პატარა ეზო სამინდოშია. ქარი ხმაურობდა გამხმარ ლეროებში. გიორგი იდგა თავდახრილი. მდუმარედ განიცდიდა ჩვენგან მიტანილ ამბავს. ქეთევანი ტიროდა.

ტრასიდან მკაფიოდ ჩანდნენ მთები, ახლოს — ჩამუქებულნი, შორს — თეთრად მოქათქათენი, სადღაც მათ უკან ცისკენ აღმართული იდგა ეზრამაზარი იალბუზი. ტყიბულის დაბლობზე გადაგრეხუნა მოკლე, დაგვიანებულმა ელვაქმა, და ცისარტყელამ გააშუქა ტყეები და მთები. საღამო ზეიმივანი, წყნარი და სევდიანი იყო.

მოსკოვში რომ დავბრუნდი, გადავწყვიტე გავცნობოდი 805-ე მსროლელი პოლკის დოკუმენტებს, რომლებიც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივში ინახება.

„გამოირიცხოს საქმაბე კმაყოფიდან ქვეითი დაზვერვის ოცეულის 22 კაცი, რომელნიც წავიდნენ განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად...“

„გამოირიცხონ პოლკის სიებიდან და ყველა სახეობის კმაყოფიდან 322-ე მსროლელი დივიზიის განკარგულებაში წასულნი... უმცროსი ლეიტენანტი ხხაიძე და მასთან ერთად ოცდაცხრამეტი წითელარმიელი...“

ერთ-ერთ ასეთ ჯგუფთან დავალებაზე წავიდა წითელარმიელი ბერეკაშვილიც. როცა ჯგუფი დანიშნულ ვადაზე არ დაბრუნდა, მისი ყველა მონაწილე ნაწერეს უკვალოდ დაკარგულებად. მაგრამ ომში მომხდარა ხოლმე, რომ ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ჯარისკაცები ცოცხლი იყვნენ და ომობდნენ. ასე დაემართა მებრძოლ ბერეკაშვილსაც.

...გერმანელები იალბუზის მწვერვალისაკენ მოიწევდნენ. ისინი ჩქარობდნენ დაედგათ იქ ჰიტლერის პირადი ბრძანებით სპეციალური დამზადებული ფაშისტური ალამი. „ადელვაისლენენ“-დალურსმული ფეხსაცმელები უსხლტებოდათ გაყინულ კლდეებზე. ძლიერი, მუქი ქარები სცემდნენ მათ მკერდში, მაგრამ მიზანი თვალხილულად ახლო იყო, და ამიტომ ისინი ჩქარობდნენ. უკვე რამდენჯერმე წაწყდნენ ეგერები საბჭოთა მსროლელების უღმობელ და ყოველთვის მოულოდნელ ცეცხლს. ეცემოდნენ მოკლულნი, განწირულად ყვიროდნენ დაჭრილნი ყინულოვან უფსკრულთა ნაპრალებში რომ მიცურავდნენ. მაგრამ ფაშისტები ბევრნი იყვნენ, წინ უშვებდნენ მძვინვარე ქოფაკებს და მაღლა მოიწევდნენ.

ისაია პავლეს-ძე ბერეკაშვილს და მის ამხანაგებს პოზიცია ეჭირათ ყინულის ბაზის რაიონში. მწვერვალისაკენ მიმავალი ბილიკის ოღნავ გაზზე. როცა თოვლიან ნისლში გაისმა ძაღლების მოახლოებული ყეფა, იგი საბრძოლველად გაემზადა. ჯერ გამოიყენა ხელყუმბარები. რომლებიც მთების პირობებში ორმაგად შედეგიანია, ვინაიდან მტერს ანადგურებს როგორც საკუთარი, ისე ქლდის ნამსხვრევებით. შემდეგ ბერეკაშვილი ავტომატს უშვებდა. მას ესმოდა, როგორ თანდათან დუმდებოდნენ მასთან საერთო ყეყეფაში ჯანსაგებული საცეცხლე წერტილები, როცა ვაზნები გათუთდა, ავტომატი გვერდზე გადადო. ხანმოკლე შესვენება გამოიყენა, მოძებნა დოკუმენტები და ქვის ნაპრალში ჩადო; სადაც თოვლი ცვიოდა, ადამიანის მზერა კი ვერ აღწევდა. შემდეგ კვლავ მიბრუნდა ნისლით დაფარულ ფერდობზე. სწრაფად მოახლოებული ჩრდილებისაკენ და ხელყუმბარა მომართა...

ვლ. გნეუშევი.

სურათზე: ნ. პ. ბერეკაშვილის პარტიული ბილეთი.

(„პრავდა“, 5/I).

რა ვინახოთ, რა ვოვლაშინოთ

ერთადერთი ბილეთი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ბავშვებისათვის. კინოპროგრამა, 11.00 — ფერადი ტელევიზია — ბავშვებისათვის ბულგარული ხუტაგრული ფილმი „მამაჩემი მეცხვარეა“, 12.20 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი“, 13.05 — ბავშვებისათვის პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ცივილიას თავგადასავალი“ პირველი სერია (ქართულ ენაზე), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: მუსიკალურ-ლიტერატურული გადაცემა „ზამთარია“, 18.35 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოქარი ზურმუხტების ქალაქიდან“ (მეექვსე სერია), 19.00 — „მექანიზაცია სიუხვის წყარო“, 19.15 — სატელევიზიო სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ოქროპირის“ საახალწლო გამოშვების განმეორება, 19.40 — კონცერტი, 20.15 — სპორტული მიმოხილვა, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფერადი ტელევიზია — იტალიური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „პუჩინი“ მეორე სერია. (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მორომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — კინოპროგრამა, 19.30 — მხატვრული ფილმი „ყოველ საღამოს მუშაობის შემდეგ“, 21.00 — განცხადებები, 21.05 — კინონარკვევი, 21.30 — საესტრადო კონცერტი.

ტელევიზია

ვალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოქარი ზურმუხტების ქალაქიდან“ (მეექვსე სერია), 19.00 — „მექანიზაცია სიუხვის წყარო“, 19.15 — სატელევიზიო სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ოქროპირის“ საახალწლო გამოშვების განმეორება, 19.40 — კონცერტი, 20.15 — სპორტული მიმოხილვა, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფერადი ტელევიზია — იტალიური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „პუჩინი“ მეორე სერია. (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მორომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — კინოპროგრამა, 19.30 — მხატვრული ფილმი „ყოველ საღამოს მუშაობის შემდეგ“, 21.00 — განცხადებები, 21.05 — კინონარკვევი, 21.30 — საესტრადო კონცერტი.

რადიო

8 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობებს, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. აზარაშვილი — სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ი. ჰაიდნი. სიმფონია დო მინორი, 11.45 — „მწერალი მიკროფონთან“, 12.10 — ახალგაზრდობისათვის. „კომკავშირული ორწლედი მოქმედებს“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „ა. ბალანჩივაძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 18.45 — ვ. ბელინი. სცენა ოპერიდან „ნორმა“, 19.00 — საუბარი „პროდუქციის ხარისხსა და ასორტიმენტს შეუნელებელი ზრუნვა“, 19.15 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ტრიო „რომენის“ კონცერტი, 19.45 — ოსური სიმღერები, 20.20 — ვ. დოლიძე. საორკესტრო ნაწყვეტები ოპერებიდან, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — თ. გურგენიძის, ე. ისაკაძისა და თ. ლაფერაშვილის კონცერტი, 22.00 — სცენები სპექტაკლებიდან ვ. გოძიაშვილის მონაწილეობით, 23.30 — იაპონიის ვოკალური კვარტეტ „როიალ-ნაიტსის“ კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

7 იანვარი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა (დღისით), **ყვარყვარე** (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — სიფუაცია** (დღისით); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი** (დღისით), **ჭრილობა** (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სხვისი შვილები მამა** (დღისით), **ჯარში ბედის ერთა** (საღამოს).

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

მეცნიერება იმორჩილებს

ბიწისძვრა

შეიძლება თუ არა თავიდან აავიცილოთ?

დიდი მიწისძვრა ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე სტიქიური უბედურებაა. რას აკეთებენ დღეს მეცნიერები მიწისძვრათა გამანადგურებელი შედეგების თავიდან ასაცილებლად? ამაზე ახალი ამბების ხაგენტოს კორესპონდენტის თხოვნით მოგვითხრობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ო. ი. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის ძლიერ მიწისძვრათა ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ შებალინი:

— სამი რგოლი შეადგენს თანამედროვე სეისმოლოგიის საფუძველს: მიწისძვრის კერის ფიზიკა; თვისებანი მიწის წიაღისა, რომელიც გაატარებს სეისმურ ტალღებს; ტალღების ზემოქმედება დედამიწის ზედაპირზე.

ღრმად დედამიწის წიაღში, სადაც ნელა—წელიწადში სანტიმეტრობით ადგილს გადაინაცვლებს ხოლმე მზარი მთების და დაბლა დაშვებული ღრმულების ფუძეები, იქმნება უდიდესი წნევები. რაღაც მომენტში მთის ქანები დაძაბვას ვეღარ უძლებენ, იხლიჩებიან და სწრაფად გადაინაცვლებენ შექმნილი ნაპრალის გასწვრივ. მთის ქანების სწორედ ასეთი ადგილგადანაცვლება არის მიწისძვრის კერა.

სუსტი ბიძგების დროს ნაპრალი სულ რამდენიმე მეტრზე გრძელდება. ტაშკენტის ტიპის მიწისძვრის დროს ნაპრალი რამდენიმე კილომეტრს შეადგენს. გრანდიოზული სეისმური კატასტროფების დროს, ისეთების, როგორიც იყო ალასკის 1964 წლის მიწისძვრა, იმ ნაპრალის სიგრძე, რომელიც დედამიწის სიღრმეში 80-150 კილომეტრზე მიდის, 800-1000 კილომეტრს აღწევს.

ახლა საბჭოთა სეისმოლოგები მუშაობენ იმაზე, რომ შექმნან მიწისძვრის კერის „ნაპრალური“ თეორია. მისი შექმნა უახლოეს წლებში დამთავრდება.

კაცმა რომ თქვას, მოახლოებულ მიწისძვრათა აგდილისა და ძალის წინასწარმეტყველება მეცნიერებს ახლაც შეუძლიათ, მაგრამ ეს ჯერჯერობით მოვლენათა მხოლოდ შესაძლებლობის წინასწარმეტყველებაა: განისაზღვრება მომავალ მიწისძვრათა ზონა და მათი გამეორების საშუალო პერიოდი. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. სეისმოლოგებისაგან დიდი ხანია უკვე „სასწაულს“ ელიან — თვითეული მიწისქვეშა ბიძგის შეუცდომლად და ზუსტად წინასწარმეტყველებას.

მეორე ამოცანა — დედამიწის აღნაგობის გამოკვლევა — უფრო გარკვეულად გამოიყურება. აქ უკვე არცთუ შორეულ მომავალში სეისმოლოგებს ჩვენი პლანეტის აღნაგობის შესასწავლად მოვლინი ხელი აიღონ რყევათა ისეთი რთული და არარეგულარული წყაროების გამოყენებაზე, როგორიც არის მიწისძვრები და აფეთქებანი. მართლაც, სეისმური ტალღები თან აგარებენ დედამიწის წიაღში ხანგრძლივი გზის კვალს. სეისმური სადგურების მიერ ჩაწერილ ამ რყევათა გაშიფვრით ხერხდება წიაღის თვისებათა გამოცნობა დედამიწის თვით ცენტრამდე. მაგრამ ამას ძლიერ უშლის ხელს მიწისძვრის კერიდან ყველა მხრისაკენ გაგზავნილი პირველადი რყევების ქაოსური რიგი. თანაც ცნობილი არ არის ბუნებრივი ბიძგის ადგილი და მომენტი, რასაც დამატებითი შეცდომები მოაქვს. გაციცებით უფრო ეფექტური და ზუსტია წიაღის თვისებათა გამორკვევა იმით, რომ ხიღრმეში გაიგზავნოს ხელოვნურად აღძრული, გამიზნული ამპლიტუდისა და სიხშირის მქონე ვიბრაციები. ეს რყევანი, რა თქმა უნდა, სეისმურ ქარიშხლებზე გაციცებით უფრო სუსტია, მაგრამ მათი რეგულარულობა დიდ ძალას შეიცავს.

მესამე პრობლემა აინტერესებს მეცნიერებს. იმ ადგილებში, რომლებსაც მიწისძვრები ემუქრება, ახლა უხდებათ ამენონ სახლები სიმტკიცის დიდი მარაგით, იმიტომ რომ წინასწარ ცნობილი არ არის, სახელდობრ როგორ შეირყევა ნიადაგი მორიგი ძლიერი მიწისძვრის დროს— იქნება ეს მოკლე, ხისტი ბიძგები, თუ გაქანებული რყევა, თუ ერთიც და მეორეც ერთად. მოახლოებული მიწისძვრის თვისებები თუ ვიცით, შეიძლება წინასწარ ემუქრებოდეს რყევათა ხასიათი. ზუსტი ცნობები დედამიწის შრეების აღნაგობის შესახებ დაგეხმარება გამოვარკვიოთ კერიდან პლანეტის ზედაპირისაკენ გზაზე რყევათა ცვლილებანი. შედეგად მშენებლები მიიღებენ მოსალოდნელი ბიძგების სურათს და შეძლებენ უფრო ეფექტურად გააძლიერონ ასაგები შენობათა და ნაგებობათა კონსტრუქცია.

ალბათ მომავლის სეისმოლოგიის ყველაზე დიდი წარმატება გახდება გადასვლა მიწისძვრების წინასწარმეტყველებიდან მათს თავიდან აცილებაზე. ასეთი თითქოს წმინდა ფანტასტიკური პროექტის ტექნიკური განხორციელება შეიძლება უკვე ახლა წინასწარ განვეჭვრიტოთ. იმისათვის, რომ კერაში გამოიყოს სეისმურ რყევათა ენერგია, იგი უნდა დაგროვდეს. ძლიერი მიწისძვრის შემდეგ, როცა ახალი ნაპრალი კიდევ „სუნთქავს“, ენერგიის დაგროვება არ ხდება. თუ მოხერხდა ყოველი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ თავიდან აცილებულ იქნას ნაპრალის „ამოვსება“, ეს დაგვეხმარება სამუდამოდ წაერთვას კერას მისი ძალა: მთელი მომსწავლელი ენერგია ხეხვაზე დაიხარჯება. კერის კიდების ნელა ადგილგადანაცვლებისას.

ასე თანდათანობით შეიძლება გაუვნებლებულ იქნას ყველა საშიში მოახლოებული კერა. ძნელი სათქმელია, როდის გახდება ეს შესაძლებელი, მაგრამ კაცობრიობა რომ გადარჩება მიწისძვრებისაგან გამოწვეულ შიშს, ეს საეჭვო აღარ არის.

საქართველოს კურორტებზე

ამთარი უკვე ძალაში შევიდა, მაგრამ საქართველოს კურორტებზე მაინც თბილი ამინდები დგას. შავი ზღვის სანაპიროს პლაჟზე, აფხაზეთისა და აჭარის დასასვენებელ სახლებში შვებულებას ატარებენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბალტიისპირეთიდან, უკიდურესი ჩრდილოეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოსული დამსვენებლები.

სურათებზე: ზემოთ—ათასობით დამსვენებელი ატარებს შვებულებას კურორტ ბიკვინთაში; ქვემოთ — დამსვენებელთა ერთი ჯგუფი სანატორიუმ „მეზასტეში“.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ფეხბურთი

შ. იამანიძის სახელობისა

გაგრაში დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა (17 წლის ასაკის) ტრადიციული ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა იამანიძის სახელობის პრიზზე.

წლევანდელ ასპარეზობაში (3-11 იანვარი) მონაწილეობს 8 კოლექტივი მოსკოვის, თბილისისა და გაგრის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდები, ხარკოვის „სპორტინტერნატი“, ერევნის „არარატი“ თბილისის „სიკბუკეკ“, ქუთაისის „ტორპედო“ და სოხუმის „დინამო“. შეჯიბრება მიმდინარეობს წრიული სისტემით ორ ჯგუფად, რომლის ორ-ორი გამარჯვებული გაითამაშებს ფინალს.

პირველ ტურში ფრედ ითამაშეს გაგრისა და ერევნის გუნდებმა — 1:1, თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდმა და ხარკოველებმა — 0:0, მოსკოველებმა და „სიკბუკემ“— 2:2.

მეორე ტურში თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლამ მოუგო „არარატს“ — 2:1, გაგრელებმა — ხარკოველებს —2:1, ხოლო ქუთაისელებმა — სოხუმელებს — 1:0.

ფეხბურთის რეკორდები

ბრაზილიის ფეხბურთში ამას წინათ დამყარებულ იქნა ახალი რეკორდი. იგი ეკუთვნის „კორინტიანსს“ კლუბის ფეხბურთელს რიველინოს, რომელმაც „ამერიკასთან“ მატჩში 40 მეტრის მანძილიდან გაიტანა ბურთი თამაშის... მეოთხე წამზე. ძველი რეკორდი გაუმჯობესებულია იქნა 6 წამით. ახალ მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვის „ამერიკის“ გუნდის მეკარის ირინდირის დაუდევრობას, რომელიც ამ დროს ესალმებოდა მისი კარის უკან მდგარ ნაცნობ ფოტორეპორტიორს.

ნაპრეზში ზედიზედ ჩატარებული მატჩების რეკორი ეკუთვნის ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელს ბილ რიატს. იგი ეროვნული გუნდის ფერებს 70 მატჩში.

არგენტინის გასული წლის ჩემპიონატში „ბენფი